აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 41**

21 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

**უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 43-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის ბიძინა დუმბაძის 2012 წლის 20 სექტემბრის განცხადების შესაბამისად, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, გაუუქმდეს საარჩევნო რეგისტრაცია და მოხსნილი იქნას საარჩევნო სუბიექტის, „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, მიერ წარდგენილი პარტიული სიიდან უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი ბიძინა დუმბაძე (პარტიული სიის რიგით №3).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე** **არჩილ მიქელაძე**